XXVIII: წერტილი

„მე არ მიჩნდება იდეები პიესის დაწერამდე,
მე ისინი მისი დასრულების შემდეგ მომდის თავში.
მჯერა, რომ მხატვრული შემოქმედება სპონტანურია.
ის ჩემთვისაა.“
- ეჟენ იონესკო

პროლოგი

დასაწყისიდანვე გეტყვით, რომ „ჰეფი ენდებზე“ მაინცდამაინც არ ვგიჟდები. მეტიც - „ჰეფი ენდი“ რაღაცით სანტა კლაუსს მაგონებს - ცხოვრების გარკვეულ ეტაპამდე რომ გჯერა და მერე - აღარ. *სინამდვილეში „ჰეფი ენდი“ უბრალოდ წერტილის დროულად დასმის ხელოვნებაა. „და ცხოვრობდნენ ისინი დიდხანს და ბედნიერად.“* ***წერტილი.*** არადა, ისიც ხომ შეიძლება, რომ ქორწილიდან ერთ წელში დაუკმაყოფილებელმა პრინცესამ საყვარელი გაიჩინოს ან დეპრესიული პრინცი ანონიმ ალკოჰოლიკთა კლუბის წევრი გახდეს. პრინციპში, რატომაც არა.

I

მე ჩემს ისტორიას უჩვეულოდ გიამბობთ. ანუ, დავიწყებ იქიდან, სადაც სხვები ამთავრებენ.

„და ცხოვრობდნენ ისინი, ტკბილად და ბედნიერად...“

II

რომი ყველა შესაძლო სიტუაციაში ამბობს, რომ არ არსებობს ისეთი უნივერსალური ფრაზები, რომლებიც ყველა შესაძლო სიტუაციაში შეიძლება ითქვას. რომი ჩემი ცოლია. მარადიული არ არის. ქალაქი, მით უმეტეს. თანაც, იმ რომისგან განსხვავებით, ჩემი რომის შესაფასებლად ორი ბორცვიც საკმარისია. სახელი რომი შნაიდერის საპატივსაცემოდ დაარქვეს. ბაბუამისს ბებიამისზე მეტად უყვარდა და ალბათ, იმიტომ. ეს რომიც კარგი გოგოა, ისე.

III

მე რომანი ვარ. ბაბუაჩემს ლონგინოზი ერქვა, ამიტომ მთლად ბოლომდეც არ გამწირეს და რადგანაც წიგნების კითხვაც ჰყვარებია (საწყალს), რომანი დამარქვეს. „აბა მოთხრობა არ მოუხდება ბავშვსო“ - მამაჩემი გაჯიუტებულა თურმე. მე პირადად რომანების კითხვაზე მეტად, მათი წერა მიყვარს. ოდესმე, ალბათ, მემუარებსაც დავწერ, ორიგინალური სათაურით - „რომანი რომანზე“, მაგრამ რომი მეუბნება, ეგ სათაური ისეთივე გაცვეთილია, როგორც „ისეთივე“-თი დაწყებული ორიგინალური შედარებების გაკეთებაო. მეც ვუჯერებ. კომპეტენტური გოგოა რომი.

IV

რომი ამბობს, შემთხვევით არაფერი ხდება, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც შემთხვევით ხდებაო. ჭკვიანი გოგოა რომი. ერთმანეთიც შემთხვევით გავიცანით. საერთო ნაცნობის სიდედრის პანაშვიდზე. დანახვიდან 28-ე წამზე მივხვდი, რომ უსაშველოდ შემიყვარდა. რომი მიმტკიცებს, 28-ე კი არა, 30-ე იყო და საერთოდ, სიყვარული მარადიულია, მარადიულობა კიდევ წამებში არ იზომებაო. მეც ვჩუმდები. არ მინდა წამებით მოპოვებული სიყვარული, ორ წამში დავკარგო.

V

რომი ამბობს ა) რომანში ინტრიგაც თუ არ ჩადე, მარტო ბაბუაშენი ლონგინოზის ისტორია ბევრს არავის დააინტერესებს და ბებიაშენი კიდევ, შენს წიგნებს ისედაც კითხულობსო და ბ) ჯობია, ყველა თავი რამე ორიგინალური ფრაზით დაიწყო, ყურადღებას მაინც გადაატანინებს ხალხს რამეზე და იქნებ, რომანში აზრის ძებნა აღარ დაიწყონო. მეც ვეთანხმები. ამჯერად მართლა ვეთანხმები.

VI

„სისხლის გუბეში ცურავდა, როგორც ფარაონი რამზესი, წითელმა ზღვამ რომ უნდა შთანთქასო...“

ესეც დაპირებული ინტრიგა, მაგრამ ერთი სერიოზული ნაკლი ამასაც აქვს. პერსონაჟი მოთხრობაში სულ ორია: მე და რომი. მე ზუსტად ვიცი, რომ არავინ მომიკლავს. ასე რომ, ყველა გზა მაინც რომისკენ მიდის და ერთადერთი მკვდარი ამ საქმეში... ისევ ინტრიგაა.

VII

რომი განიცდის, ბოლო დროს ადამიანები ტექნოლოგიებმა ისე გააზარმაცა, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, არაფერი რომ არ გააკეთონო. მკითხველების მაგალითი მოაქვს. ისე ეზარება უკვე კითხვა ბევრს, ბუნების აღწერა და ადამიანის გარეგნობის შტრიხების აღნიშვნა ხომ დაივიწყეს უკვე და მალე პერსონაჟებსაც მინიმუმამდე დაიყვანენო. მერე უკვე სასვენ ნიშნებსაც მძიმე დღე ელოდებათ - სად აქვთ აბა საქმიან ადამიანებს იმის დრო, კითხვის დროს წამდაუწუმ რომ ისვენონო. საბოლოოდ, პატარა აბზაცებსაც თავებად გადააქცევენ და რომანი დარჩება რამდენიმე აბზაციო. მოკლედ, ისეთი შეკვეცა ელით წიგნებს, საპირფარეშოში შესვლისას ერთი წიგნის ნაცვლად, მთელი თაროს შეყოლება მოგვიწევსო. შორსმჭვრეტელი გოგოა რომი.

VIII

რომი ამბობს, ისე რაღა დროს სქელტანიანი წიგნებია, უდროობის გამო, წიგნს კი არა, ნათესავებს ვეღარ კითხულობენ ნორმალურად ადამიანებიო. შენ ფამუქს და ეკოს რას უყურებ, მომავლის რომანები წერეო. თან ერთი დეტექტივის იდეასაც მკარნახობს, სადაც ერთი პერსონაჟი იქნება მარტო და დამნაშავეც ეგ რომ უნდა იყოს და მსხვერპლიც, სხვა გზა აღარ დარჩება - თავს მოიკლავსო.

IX

რომი ამბობს, თავის მოკვლას რა უნდა, ათას კაცს მაინც აქვს თავი მოკლულიო. სურვილს თვითონაც გამოთქვამს - ოღონდ 28 წლის ასაკში - „ეს 27 წელი ძალიან მეინსტრიმულიაო.“ - ამბობს. თან იმასაც დასძენს - „აბა ისე როგორ გინდათ ერთი, ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვსო.“ ჯერჯერობით მარტო მუშაობით იკლავს თავს. მეტი არაფრით, მაგრამ ისეთი მიზანდასახული გოგოა რომი, მაგასაც მიაღწევს.

X

რომი წუხს, თანამედროვე ხელოვნება შენს რომანებს ჰგავს - „ერთადერთი ის აზრი დევს, რომ არანაირი აზრი არ დევსო“. თვითონაც თანამედროვე ინსტალაციას ქმნის. რაღაც გამოფენაზე უნდა გაიტანოს - მშვიდობას და ტერაკოტას არმიას ეძღვნებაო. ღამეებს ათენებს მუშაობაში, ოღონდ ნამუშევარს ჯერ არ მაჩვენებს. „სიურპრიზიაო“ - იღიმის. მე კიდევ სიურპრიზზე დღემდე რომის ბორცვები მახსენდება და მეშინია, თავთან ერთად, ეგეც მსხვერპლად არ შესწიროს... ხელოვნებას.

XI

მე რომანებს მხოლოდ მწერებზე ვწერ. ს ა მ წ ე რ ო ბ ო საქმიანობას ვეწევი, ასე ვთქვათ. კაფკას გავლენაა სერიოზული - რომანის ბოლოს ერთი მწერი მაინც რომ არ მოვკლა, არ შემიძლია ისე.

XII

რომი ამბობს, მშვიდობა ნიშნავს ცხოვრებას ისეთ ქვეყანაში, სადაც ტყვია მხოლოდ მენდელეევის პერიოდულობის სისტემაში გხვდებაო. ინსტალაციაც ჰქონდა ასეთი. პოლიგლოტი დააყენა პედესტალზე და ამ ფრაზას საჯაროდ, ყველა შესაძლო ენაზე ათარგმნინებდა. თუმცა, უსაფრთხოებისადმი მიძღვნილ იმ გამოფენაზე, არაბი ხელოვანის მიერ გამოგზავნილი ინსტალაცია - „ერთ წამზე შეჩერებული ბომბი“ - ისე არაჰოლივუდურად აფეთქდა უცებ, ყოვლისშემძლე ბრიუს უილისი უმწეობისგან დეპრესიაში ჩააგდო თურმე. ჰოდა, კი ჩაუვარდა იმ პოლიგლოტსაც ენა მუცელში, ნაწლავებთან ერთად რომ გადმოვარდნოდა მერე.

XIII

რომი ამბობს, პუნქტუაციის ცოდნა სულაც არ არის საჭირო იმის მისახვედრად - რაიმეს წერტილი როდის უნდა დაუსვაო. პუნქტუაციაში მე პირადად წყალწაღებული კითხვის ნიშანი ვარ. მხოლოდ ის ვიცი, რომ რომის წინ მძიმე იწერება.

,რომის კისერზე გადადის დანარჩენი.

XIV

რომი ამბობს, ისე წერ, ვიღაც იფიქრებს, მაგ რომანში აზრის ძებნას აზრი არა აქვსო. ჰოდა, ცოტა ისე ქენი, ნაწერში **ღრმა აზრიც** რომ გამოჩნდესო. სკრუპულოზური გოგოა რომი.

XV

ღრმა აზრი.

XVI

რომი დარდობს, შრომამ შექმნა ადამიანი და მერე ადამიანმა შექმნა ყველაფერი იმისათვის, რომ აღარ ეშრომაო. სხვებს გულისხმობს, რა თქმა უნდა, თორემ ჩვენ კი ვმუშაობთ ორივე. მე - ჩემს რომანზე, ის - თავის ახალ ინსტალაციაზე, „ტერაკოტულ გამოფენაზე“ რომ უნდა გაიტანოს. „ტერაკოტა“ რაღაცით ტარაკნებსა და ტერმიტებს მაგონებს. მომდევნო რომანს, ალბათ, მაგათზე დავწერ და ბოლოში ყველას დავხოცავ. მეზიზღებიან... ტერმიტები.

XVII – XVIII

რომიც ამბობს, „ერთი თავი კარგია, ორი - უკეთესიო“, ამიტომ ზოგჯერ ერთადაც ვშრომობთ. ის რომანის დასკვნითი, მეხუთე სტრიქონის დახვეწაში მეხმარება, მე - ინსტალაციის იდეის განვითარებაში. ნამუშევარს ისევ არ მაჩვენებს. ალბათ, შედევრია.

XIX

რომი მირჩევს, სადმე ისიც ახსენე, რომ „წვიმს და ფანჯარასთან მჯდარი სევდიანი გოგო, მინაზე წვიმის წვეთის ბილიკს ამღვრეული მზერით მიუყვება“, ან რომ „შენი ფეხისგულები ისეთი დაღარულია,

როგორც უდაბნოს გამოფიტული მიწაო.“ დიდი კი არაფერი, მაგრამ მოსწონთო. მეც ვპირდები, ვეცდები მეცხრამეტე თავში სადმე ჩავსვა - მეთქი.

XX

რომი ამბობს, რასაც ახლა ვკითხულობ, მგონი, ამ რომანში ორი პერსონაჟიც ნამეტანია, ერთი უნდა მოკვდესო. მე რატომ - მეთქი, წინასწარ მიკვირს. ჯერ ერთი, მთელი რომანი ჩემი ფრაზებით გაქვს აგებული და მერე მეორეც - დარვინის თეორიაა ასეთი, ბუნებრივი გადარჩევის გზით, უძლიერესი უნდა გადარჩესო. მე მიხარია, დარვინის სახით მესამე პერსონაჟიც რომ ჩნდება და ვთავაზობ - თუ მაინცდამაინც მოკვლაა, ბარემ ეგ დარვინი მოვკლათ - მეთქი. რომი მეუბნება - ეგ უკვე დიდი ხნის მკვდარია და ნუ მაიმუნობო. მერე თითს ბოლო აბზაცისკენ იშვერს და სამ თავს მაძლევს ვადას იმისათვის, რომ რომანიდან გავქრე.

XXI

ამასობაში რასაც ვწერდი, ის კი დავამთავრე:

„ღმერთი თუ არსებობს, ამდენი შრომა აღარ დამჭირდებოდა“, - ფიქრობდა ჭიანჭველა და შაქრის ნატეხს მიათრევდა - „რა მოხდება, რომ ერთხელ საკვები თავისით მოვიდეს, სულაც ციდან ჩამოვარდეს. ღმერთო, მომეცი პური ჩვენი არსობისა.“

ზემოდან ზუზუნი გაისმა. ჭიანჭველამ რაღაც მძიმე იგრძნო. „დედა, პური ამოვიტანე, მაგიდაზე დავდე და ეზოში მივდივარ“, - მხოლოდ ესღა მოესმა მწერს, გადაბრუნდა და მოკვდა.“

XXII

რომიმაც დაასრულა ინსტალაცია - „მაჰათმა განდი ისვენებს“. 28-ე ნომრად გაიტანეს გამოფენაზე. თუმცა, იქ მისულს პედესტალი აბსოლუტურად ცარიელი დამხვდა. „მაჰათმა განდი სად არის“ - მეთქი, გამიკვირდა და „გასულია, ისვენებსო“. „მოიცადე, მთელი ეს თვეები ამ სიცარიელეს ქმნიდი“ - მეთქი და გაბრაზდა - „იდიოტო, მთელი სული ჩავდე ამ ინსტალაციის შექმნაში. ეს სიცარიელე კი არა, იმის სიმბოლოა, რომ შეუძლებელია ოდესმე მსოფლიოში აბსოლუტური მშვიდობა დამყარდესო.“ ვუყურე ცარიელ პედესტალს, ვუყურე და შემთხვევით შემოფრენილი თავადური გვარის კოღოს გარდა, ვერაფერი რომ ვერ შევამჩნიე, არამხოლოდ გამოფენიდან, კინაღამ რომანიდანაც წამოვედი.

XXIII

რომი ამბობს, აღარაფერს ვიტყვიო.

XXIV

- რომ...
პასუხი არ არის.
- რომ...
პასუხი არ არის.
- რომ...

სად დამეკარგე, მართლაცდა რომ.

XXV

რომი მემუქრება, გადასცდა უკვე დათქმულ ვადას, სასწრაფოდ წადი ამ რომანიდან, თორემ იცოდე, ბოლო კვანძსაც მე გავხსნიო...

ორივე ვდუმვართ. სიჩუმეა.

- ბუზის გაფრენის ხმა რატომ არ ისმის? - მეთქი, მიკვირს.

- ალბათ, იმიტომ, რომ წეღან ჩავარდა შენს ბორშში და იქ ჩაიხრჩოო, - მიღიმის რომი - თითქოს *„სისხლის გუბეში ცურავდა, როგორც ფარაონი რამზესი, წითელმა ზღვამ რომ უნდა შთანთქასო...“*

მაინც დამასწრო.

XXVI

წასვლა გადავწყვიტე. „ოცდამეშვიდეს კი ვხედავ, მაგრამ ოცდამერვე თავი სად გაქრა“ - მეთქი, რომის ვეკითხები. „სადაც დადე იქ იქნება. შენი ამბავი რომ ვიცი, *სადმე რომანის თავში მიაგდებდიო*“, - მპასუხობს. ირონიული გოგოა რომი.

ისე, რა მინდოდა. მეცხოვრა „ტკბილად და ბედნიერად“. მოვინდომე აქ ზღაპრული სტანდარტების მსხვრევა. კარგია, რომ ამ რომანში კიდევ მეთქმის რაღაც სიტყვა და შემიძლია, კალმის ერთი მოსმით ყველაფერი უკან დავაბრუნო.

ოცდამერვე თავიც იქვე ყოფილა...

XXVII

„მე ჩემს ისტორიას უჩვეულოდ გიამბობთ. ანუ, დავიწყებ იქიდან, სადაც სხვები ამთავრებენ.

და ცხოვრობდნენ ისინი, ტკბილად და ბედნიერად...“